1986 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲛᲐᲘᲡᲘ — **№ 95** — **Ქ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ**

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ ჯარის კაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდებლებო!

ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო დიდი სამამულო ომის მონაწილეებო, არმიისა და ფლოტის ვეტერანებო!

დღეს ჩვენი სამშობლო, მოძმე სოციალისტური ქვეყნები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმობენ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 41 წლისთავს. გამარჯვების დღესასწაული აღინიშნება საბჭოთა ადამიანების, არმიისა და ფლოტის მეომრების იმ დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში, რომელიც გამოიწვია სკკპ ისტორიულმა XXVII ყრილობამ, ქვეყნის ცხოვრებაში ახალ, გარდამტეხ ეტაპზე პარტია და ხალხი რომ შეაიარაღა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიით, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პროგრამით.

მთელი საბჭოთა ხალხისათვის დიდი სამამულო ომი ყველაზე მძიმე განსაცდელი იყო. მასში წყდებოდა მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ბედი, მსოფლიო ცივილიზაციის მომავალი. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა, მისმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, გამანადგურებელი დამარცხება მიაყენეს მსოფლიო იმპერიალისტური რეაქციის დამკვრელ ძალას — ჰიტლერულ ფაშიზმს, შემდეგ კი იაპონიის მილიტარიზმს, დაიცვეს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ფაშისტური დამონების საფრთხისაგან კაცობრიობის

ვიყოთ მაგა-კაკასია დიდების ღირსნი

გამარჯვების დღესასწაულის წინ დიდი სამამულო ომის ჯარისაცთა შვილები და შვილიშვილები — სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში რესპუბლიკის წარგზავნილები ტრადიციისამებრ შეიკრიბნენ თბილისში. აქ 7 მაისს გაიმართა გასაჩვენი ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრება.

შეკრება საზეიმო ცერემონიით გაიხსნა ლენინის მოედანზე. ხვალინდელმა მეომრებმა — საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლებმა ომის ვეტერანებთან ერთად გვირგვინებით შეამკეს ილიჩის ძეგლი.

შემდეგ სადღესასწაულოდ მოჩუქურთმა ავტობუსებმა ლამაზ, სამხედრო ფორმის მსგავს სტილიზებულ ტანსაცმელში გამოწყობილი ჭაბუკები მიიყვანეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში — საზეიმო კრებაზე. კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, ო. ე. ჩერქეზია, ვ. გ. ლორთქიფანიძე.

კრება გახსნა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარმა გენერალ-მაიორმა ლ. ლ. შარაშენიძემ.

სამხედრო ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნებს. დარბაზში შემოაქვთ ჯარის ნაწილების მხედრულ გამარჯვებათა დიდებით მოსილი საბრძოლო დროშები.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა. მიმართა რა ახალწვეულებსა და მომავალ ოფიცრებს, მან თქვა, რომ დღევანდელი დღე მათ დიდხანს ეხსომებათ არა მარტო იმიტომ, რომ ტრადიციისამებრ არმიაში სამსახურისათვის ესოდენ საზეიმო ვითარებაში აციყვანენ. დღეს ახალგაზრდა ადამიანები ნაბიჯს დგამენ მოქალაქეობრივი სიმწიფის გზაზე, როცა შობლიური სახლის ზღურბლს მიღმა რჩება ბავშვობის ბედნიერი ხანა, წინ კი მოელით ახალი დამოუკიდებელი ცხოვრება, ზშირად განსაცდელით აღსავსე და მშფოთვარე. და მხოლოდ სიძნელეების გადალახვით შეიძლება ნამდვილად შეამოწმო საკუთარი თავი, ირწმუნო შენი ძალა, გახდე სრულყოფილი პიროვნება.

საზოგადოებას, ხალხს უნდა შეეძლოთ დაიცვან თავიანთი მონაპოვრები, თავისუფლება, ღირსება და სინდისი, თავიანთი ოჯახის ბედნიერება. ეს არის ჩვენი უპირველესი კონსტიტუციური, მოქალაქეობრივი, მამულიშვილური, უბრალოდ მამაკაცური ვალი.

გუშინდელ ჭაბუკებს ეს აქცევს ნამდვილ მამაკაცებად. ისინი გადიან პიროვნების მოქალაქეობრივი ჩამოყალიბების ხანას, როცა უჩნდებათ მოთხოვნილება მადლიერებით მიაგონ პატივი საზოგადოებას იმ სიკეთის, ზრუნვისა და სიყვარულისათვის, რომლებითაც იგი ასე გულუხვად მოსავს თითოეულ ადამიანს, თითოეულ მოქალაქეს ბავშვობადანვე.

შეუმჩნევლად გავა დრო, და ხვალინდელი მეომრები დაბრუნდებიან ფიზიკურად კიდევ უფრო გამოწრთობილები, მორალურად განმტკიცებული, ურყევ მხედრულ დისციპლინას ნაზიარები და ახალ ცოდნას დაუფლებულნი. მიუხედავად ამისა, გაცილება ყოველთვის ბადებს სევდიან განწყობილებას, იწვევს მღელვარებას: რა გელით ახალ არმიულ ცხოვრებაში, როგორ წარიმართება თქვენი სამსახური? ეს უფროსების ბუნებრივი, ადამიანური წუხილია ახალგაზრდებისათვის. მაგრამ მტკიცედ გვწამს, აღინიშნა კრებაზე, რომ თქვენ ყველანი პირნათლად შეასრულებთ ახალ მოვალეობებს, არ შელახავთ თქვენი ოჯახების, თქვენი რესპუბლიკის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, ჩვენი კომკავშირის ავტორიტეტს და გადდებით ყველგან და ყველფერში გულმოდგინებისა და სამაგალითო ქცევის ნიმუში.

მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს გამარჯვების დიად დღესასწაულს, ჩვენს მიწა-წყალზე მშვიდობიანი ცხოვრების აღორძინების დღესასწაულს.

წლევანდელი სამაისო დღესასწაულები აღსავსეა განსაკუთრებული შინაარსითა და პოლიტიკური აზრით. მთელი ჩვენი ქვეყანა საგაზაფხულო განახლების ხანაშია, აჩქარებს თავისი წინსვლის ტემპს. ადამიანებმა კიდევ უფრო მეტად ირწმუნეს ხვალინდელი დღე და ეს რწმენა მათ შთაუნერგა ჩვენი ლენინური პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებმა. ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლა იწვევს საბჭოთა ადამიანების კანონიერ სიამაყეს, პლანეტის მთელი პროგრესული ადამიანების პატივისცემას. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ მსოფლიოში ძალები ერთმნიშვნელოვნადაა განაწილებული. სამწუხაროდ, ხმამაღლა გაისმის იმათი ხმა, ვისაც ძილს უფრთხობს ჩვენი წარმატებანი, ვის სიძულვილსა და გაავებას იწვევს ჩვენი მიღწევები.

ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ცხადია, რომ მშვიდობის შენარჩუნება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იმით, თუ მას ფხიზლად დავიცავთ, ყოველგვარ პროვოკაციებს დავუპირისპირებთ ჩვენი ხალხის ძალას, ძლიერებასა და შეკავშირებას. სკკპ XXVII ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა: სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერება ისეთ დონეზეა, რომელიც საშუალებას გვაძლევს სიამედოდ დავიცავთ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა, ცხოვრება.

მხედრული მამაცობა საქართველოში მოსახლე ხალხთა საუკეთესო ტრადიციაა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იცავდნენ თავიანთ კულტურას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ყოველგვარ დამპყრობთა ურდოების შემოსევისაგან.

და მას შემდეგ, რაც რუსი ხალხის მეგობრულმა ძალამ ჩვენი ხალხები იხსნა ფიზიკური მოსპობისაგან, მათმა საუკეთესო და ღირსეულმა შვილებმა წარმატებით ამრავლეს რუსული იარაღის დიდება. 18 ქართველი გენერალი უჭკნობი დიდებით შეიმოსა 1812 წლის სამამულო ომში. 48 ქართველი გენერალი და ექვსი ადმირალი იბრძოდა 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველებზე. და მათ შორის ლეგენდარული არმიის სარდალი, პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი, კავკასიისათვის ბრძოლის გმირი კოსტანტინე ლესელიძე.

აქტიურად მუშაობენ ომის მონაწილენი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროში. ესენი არიან ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. ნ. ინაური, თ. ი. მოსაშვილი.

და ახლანდელ გასაწვევთა, მათ თანატოლთა შორისაც ალბათ არიან მომავალი გენერლები და ადმირალები, ისეთები, როგორიც არის, მაგალითად, მარშალი ა. ვ. გელოვანი, გამოჩენილ საბჭოთა მხედართმთავართა თანამედროვე თაობის ღირსეული წარმომადგენელი.

იმის შესახებ, რომ მაღლა უნდა ატარონ რესპუბლიკის ღირსება, იყვნენ უფროსი თაობების დიდების ღირსი, კრებაზე ილაპარაკეს და ხვალინდელ მეომრებს გზა დაულოცეს დიდი სამამულო ომის მონაწილემ, საბჭოთა კავშირის გმირმა შ. ი. შურღაიამ, სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირმა გ. ნ. კურტანიძემ, თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი და წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი მეთაურთა უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის კურსანტმა, სწავლის ფრიადოსანმა გ. შ. სურმანიძემ, საქართველოს აღკაკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ჯ. ვ. მარგველიძემ.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის მთელი გასაწვევი ახალგაზრდობისადმი.

(საქინფორმი).

პრემიერ პროფაგანდისტთა ამოცანები

[illegible] XXVII ყრილობა [illegible] ბაღწყვეტილებათა, სსრ კავშირის თანამედროვე მინეს [illegible] — საბჭოთა [illegible] — [illegible] — [illegible] —

მამულო, ორთავ თვალის სინათლევ!

მე ვარ პოეტი, ჩემს სულს მშფოთვარეს,
ვინ უკიჟინებს და ვინ მბრძანებლობს!
სიტყვა და გული — ერთად ორთავე,
რად მაქეზებენ სააღსარებოდ.

რად ვეურჩები მძაფრ შეგონებას,
რად ვერ დამიძრავს სიტყვა — მახვილი.
მე რომ ვიცნობ და მესმის ცხოვრება,
ვერ წარმოგიდგენთ მას თავდახრილი.

ვითხოვ ტრიბუნას, რათა ხმიანად
ვთქვა სიტყვა, შიგ ვდებ გულს, სულს და ნამუსს.
აღსარებას და ოდას კი არა,
პატაკს მივართმევ ჩემს ხალხს და მამულს.

მე, კომუნისტი, მე ლექსის კაცი,
მე, სიტყვის კაცი — ომგადახდილი,
შენ მოგახსენებ ნახულს და განცდილს,
შენ მოგახსენებ ფიცით ნამდვილით.

ნაპურალები მომდევს ველები,
და უსიერი, მკაცრი ტყის გზები,
მოფენილია სახრჩობელებით,
გულსაწიერი ჩემი სიზმრების.

ისევ ხრჩოლავენ წყნარი ქოხები,
ცრემლს და საწუხარს სულით ვეხები
და ბოღმის ერთი ამოოხრებით, —
ომის ბნელეთში გადვიჩეხები.

მტერს ზედ საზღვართან შაშხანით ვხვდები,
ხან ვიცავ მოსკოვს, ანუ შენ გიცავ.
ხან სტალინგრადის კედელთან ვკვდები,
ვკვდები და მკვდრეთით აღვსდგები იმწამს.

ფეთქავს, ღაღანებს ყაყაჩოს ველი
და შავ-შავ ღრუბლებს სადღაც მიდენის.
ის შორეული კენესა და ცრემლი,
არ მავიწყდება არასდიდებით.

და მკერდს რომ გაავქს ასე გუგუნი,
ის მოგონება მზარავს წყეული.
მომდევს სოფლები გადაბუგული,
გადათქერილი და დაქცეული.

ომიდან მძიმე გამომყვა დარდი
და საფიქრალი აურაცხელი.
ზეცა უწყვეტლივ ბარდნის და ბარდნის, —
ტკივილს გასამხელს ანუ გამხელილს.

გაჭენდნენ წლები თქარუნ-თქარუნით,
დატორეს მკერდი და განმეორდნენ.
რომ კვლავაც მეგრძნო სისხლის ხმაური,
რომ ჯერაც ფეხზე ვდგავარ მე ვიდრე,

რომ ორთავ თვალის ხატი-სინათლე
და მზერა ჩემი ცას რომ გაპყურებს,
არრაა, თუ აზრს შენ არ მინათებ,
არრაა, თუ ფიქრს არ მიდასტურებ.

მიჭირს თუ მილხინს, მილხინს თუ მიმძიმს,
დღენნი და თვენნი მაინც გადიან.
მე ვცხოვრობ, ვცოცხლობ, ვიღვწი და ვიბრძვი,
პაუ, რამდენი წელიწადია!

შენს სახელს ვფიცავ, შენს სულს ერთიანს,
შენს მთას, შენს ბარს, და ზვიად მწვერვალებს.
თან სიტყვას გაკადრებ, სიტყვა ღმერთია,
სიტყვა ნაღმია, ხმალი ელვარე.

პოეტს, რომ გული ძალუმად უცემს,
სძგერს შენი გულიც დღეა თუ ღამე.
ეს იმიტომ რომ ჩემს სიტყვას უსმენ,
კანონად სჭედავ და ადუღებენ.

და იმიტომაც, რომ ნება ხალხის
დროშაა შენი, ღონე, მიზანი.
მე ნურც მოვუსწრო იმ დროშას დახრილს,
სითბოს, სიბრძნეს და შუქს რომ მიგზავნის.

ასე ურყევი და ღონიერი,
ასე ლამაზი, ასე მართალი,
იდექ მარადყამს ასე ძლიერი,
ჩემი ლექსით და სუნთქვით გამობარი.

ხან ფიქრიანი, ფინდაუმცრალი
პირვარდიანი, გაღიმებული.
ხან ჩემი ცრემლის თბილი კურცხალი, —
სულ ყვავილებად ვაღვივებული.

ხან მზეჭაბუკი-მკლავდაკუნთული,
ხან ვეტერანი შრომის თუ ომის.
მომავლის რწმენით მკერდდახუნძლული,
იმედი ხვალის, ყველას და ყოვლის.

მწერალი, სულ რომ სიკეთეს ეძებს,
მშვიდობას სთესავს შენი ერთგული.
უკეთესს შეაქმნის, უკეთესს შესძლებს,
ქედმოუხრელი როცა ეგულვი.

როგორ გიხდება, როგორ გამაღლებს, —
შენ ეს ჭაღარა სიბრძნისეული.
როგორ მამშვიდებს და მაამაყებს
შენი ლამაზი, მრთელი სხეული,

მუმლი მუხასო, ჩვენში მეერიან,
მუხა ღმერთია, მუმლი თალხია.
მუხა შენა ხარ, მუხა ერია,
ფესვი და ტოტი შენი ხალხია.

სიტყვა ვითხოვე, ზრახვა ერთია,
გულის ნადები რომ გაუამღლავნო.
სიტყვა მეხია, სიტყვა ღმერთია,
სიტყვა სიბრძნეა სამარადყამო.

კაცი ურწმუნო ზოგჯერ ცდუნებით
ხდება, ღალატსაც არ უკადრისობს.
ჩამოიბერტყე ეს კაცუნები,
მიმოისროლე სამარადისოდ.

მტერსა და ორგულს, სულმოკლეს, მქისეს,
ნურც ღირსებია ფიქრშიც დანდობა,
მე დღე დღევანდელს დავხატავ ისე,
შთამომავლობამ გითხრას მადლობა.

მამულო, ორთავ თვალის სინათლევ,
პოეტის მუზა ცას რომ გაპყურებს.
არრაა, თუ აზრს შენ არ მინათებ,
არრაა, თუ ფიქრს არ მიდასტურებ!

დავით კვიცარიძე.

სტრიქონი დაღუპულთა წიგნიდან

სადაც არის სიყვარული, იქ ვერ იქნება იმისთანა ტანჯვა, რომელიც კაცს გასტეხავს. ნამდვილი უბედურება ეგოიზმია. თუ მარტო საკუთარი თავი გიყვარს, ცხოვრებაში რომ გაგიჭირდება, თავ-ბედს იწყევლი და შინაგანად იტანჯები. იქ კი, სადაც სხვათა სიყვარულია, სადაც სხვისთვის ზრუნვაა, სასოწარკვეთილება ვერ იბოგინებს...

1985 წლის № 84 და 350 „იზვესტიაში" დაბეჭდილი წერილების („მამის ბედი, რომელიც მრავალი წლის შემდეგ აღდგინა შვილმა" და „43-ის ლეიტენანტები") პასუხად მრავალი წერილი მოგვდის იმათგან, ვინც ეძებს მახლობლებს, რომლებიც ომიდან აღარ დაბრუნებულან. წერილები ისეთია, რომ ყველაზე ერთად ვერ ილაპარაკებ: თითოეულ მათგანში კაცის ბედია. მაგრამ ამ ფოსტაში ჯერჯერობით არ ჩანს იმათი წერილები, ვისაც შეიძლება უშუალოდ სცოდნოდა ჟიტომირის ოლქის სოფლებისათვის ნოვაკისა და ხოტინოვკისათვის 1943 წლის 23 დეკემბრის ბრძოლის გარემოებანი, ვინც იცნობდა 25-ე სატანკო კორპუსის 175-ე სატანკო ბრიგადის ლეიტენანტებს.

ბორის ნიკოლოზის ძე ვასიუკოვს,

ბორის ივანეს ძე ზვერევს,

ევგენი იაკობის ძე კუპლევახსკის,

ალექსანდრე სიმონის ძე ლუკიანოვს,

შალვა მენივილდიშვილს,

პეტრე ალექსის ძე რომანოვს.

სამი მათგანის ბედი გაირკვა: მამის შესახებ უკვე ბევრი რამ ვიცით, ხარკოვში ცხოვრობს ტანკის მეთაურის, უმცროსი ლეიტენანტის ვასიუკოვის ქალიშვილი, ყოფილ უმცროს ლეიტენანტს ბორის ივანეს ძე ზვერევს კი დავუმეგობრდი — იგი მოსკოვში ცხოვრობს და მუშაობს.

აი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოდან მიღებულმა ცნობამ კი — „შ. მენივილდიშვილი ოფიცერთა შემადგენლობაში არ ირიცხებაო"—დამაფიქრა. ერთი მხრივ, კაცი დაიღუპა, ეს ჩაწერილია „დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ ოფიცერთა ანბანურ დავთარში". მეორე მხრივ ასეთი გვარის ოფიცერი ფრონტზე არ ყოფილა. კადრების მთავარი სამმართველო არასოდეს არ ცდება.

საქართველოდანაც მოვიდა წერილი — ეძებდნენ შალვას, ლეიტენანტს, რომელმაც ფრონტიდან უკანასკნელი ბარათი 1943 წლის მიწურულს გამოგზავნა და მას შემდეგ უგზო-უკვლოდ გაქრა. იქნებ ეს ერთი და იგივე კაცია, ვფიქრობდი ჩემთვის. საქმე ის გახლავთ, რომ შვილის შესახებ ცნობა არ მიუღია დედას იმ მთის სოფელში, საიდანაც შალვა ომში წავიდა, სადაც დაკრძალულია მამა, მაგრამ ცხოვრობენ დები მარგალიტა და ელენე, აქვე ცხოვრობს ძმა ალექსანდრე, ასევე ფრონტელი; ისინი ორმოცი წელია ელიან სასწაულს, რომ გაიღება კარი და სახლში შემოვა შალვა, რომ იგი აუცილებლად ცოცხალია, რადგან სოფელ შარდომეთში არავითარი ცნობა დაღუპვის შესახებ არ მიუღიათ. თუნდაც კარი ნუ გაიღება, ოღონდ რაიმე ამბავი მოვიდეს მის შესახებ. რა არ მომხდარა ომში — ზოგი დახეიბრდა და შინ დაბრუნება აღარ მოინდომა, ზოგი კი, ტყვეობაში გაწამებული, დღემდე დახეტიალობს უცხო ქვეყნებში... თანაც, და-ძმანი უბრალოდ კი არ ელოდნენ შალვას, ეძებდნენ, ეძებდნენ დღენიადაგ, მაგრამ კვალსაც კი ვერ მიაგნეს.

„სად არის ჩვენი ძმის საფლავი, სად დაიმარხნენ „43-ის ლეიტენანტები?" — მოითხოვდნენ ისინი პასუხს.

გული მეუბნებოდა, რომ მივაგენი სწორედ იმას, ვისაც უკვე ორმოცი წელია ეძებენ ახლობლები. ვეძებ მე, მაგრამ ასეთ საქმეში ინტუიციისა და წინათგრძნობის გარდა საჭიროა სიზუსტე, თვით პედანტობაც. ეს ერთი იმ ოქვიათი შემთხვევათაგანია, როცა დოკუმენტი სამწუხარო აუცილებლობა კი არა, ძვირფასი რამაა.

ბედად, არქივის საქმეთა ამონაწერები გულისყურით იყო შესრულებული და ამიტომ „ანბანური დავთრის" საჭირო სტრიქონი ჩემთან ასე გამოიყურებოდა: „98. უმცრ. ლეიტ. მენივილდშვილი (?) შალვა მეთ. ტ. 29 (?). 12. 43 ხატინოვკა (?)". იქნებ ასეთი გულმოდგინება ნამდვილ არქივარიუსს ზედმეტად მოეჩვენოს, მაგრამ ისიც კი, რაც ამ კარგ გერმანულ ქაღალდზე იყო დაწერილი და თვით ჩანაწერის თანამიმდევრობა ბევრ რამეს მეუბნებოდა, მაგალითად, ომის შესახებ, რომ ჩანაწერები უკვე ომის შემდეგ გაუკეთებიათ ბრიგადის მწერალს. კითხვითი ნიშნები კი მიუთითებდა, რომ ექვი ეპარებოდა გაკეთებული ჩანაწერისა თუ მისი წაკითხვის სისწორეში.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის თამაზ ხუციშვილის ნახატი.

ერთი თვის მოლოდინი... თვე დაეუთმეთ შეჯერებას და დაზუსტებას. კვლავ კადრების მთავარი სამმართველო დაგეიხმარა.

სასწავლებელში და ფრონტზე მას ვალოდიად იცნობდნენ. ტანკისტის ემბლემიანი ოფიცრის სამხრეულები ორმოცდასამის სეკტემბერში მიიღო, დეკემბრის ბრძოლა მისთვის პირველი იყო. ვალოდიას მაშინ ოცდაორი წელი შესრულებია. მანამდე კი სოფელ შარდომეთში უცხოვრია, რომელსაც მხოლოდ კილომეტრიან სამხედრო ტოპოგრაფიულ რუკაზე თუ მიაგნებ, რიონის სათავეებში, მამისონის უღელტეხილთან. გლეხის ოჯახიდან იყო. შალვა ონის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ მუშათა ფაკულტეტზე გაგზავნეს. დისათვის ნაჩუქარ ფოტოსურათზე წაუწერია: „ნუ დამივიწყებ". არავინ იცის, რა კაცი დადგებოდა მისგან. ფრონტზე უმცროსი ძმა ტანკისტი იყო. უკანასკნელი წერილიდან: „თუ ამ ომიდან ცოცხალი დავბრუნდი, ნახევარ კილო შარდომეთულ და ნახევარ კილო თბილისურ მიწას შევჭამ". გმირულად დაიღუპა უკრაინისათვის ბრძოლაში.

ახლა შეგვიძლია კიდევ ერთი შესწორება შევიტანოთ 23 დეკემბერს დაღუპულ მეთაურთა სიაში. ლუკიანოვის გვარის შემდეგ უნდა იკითხებოდეს: **ტანკის მეთაური, უმცროსი ლეიტენანტი შალვა ლაზარეს ძე მეფშვილდიშვილი.**

და-ძმებს ახლა შეუძლიათ ჩავიდნენ იქ, სადაც დაიღუპა და დაკრძალულია მათი შალვა.

მთელი ეს ამბავი შეიძლება არც მომხდარიყო, ერთი ქალი — ციალა ნოზაძე რომ არა. სწორედ მასთან გვქონდა მიმოწერა, მასთან ვამოწმებდით და ვაზუსტებდით თარიღებს, ქართული სახელებისა და დასახელებული პუნქტების დაწერილობას. ამრიგად, კადრების მთავარი სამმართველოს შარდომეტიე გადაიქცა შარდომეთად, ანისის რაიონი — ონის რაიონად, გვარი კი რუსული ტრანსკრიფციით ახლა ისევე იწერება, როგორც ქართულად.

მხოლოდ უკანასკნელ წერილში, როცა მიპასუხა ერთ-ერთ ჩემ შემაცბუნებელ კითხვაზე, ციალა მწერდა: „გაზეთი მე წავიკითხე, და მის შესახებ მხოლოდ ახლა ვუამბე, როცა ყველაფერი საბოლოოდ ნათელი გახდა". თურმე მთელი ამ დროის მანძილზე მიმოწერა მქონია არა დაღუპული კაცის ნათესავთან, არამედ შალვას ერთ-ერთი დის მეზობელთან...

„თუ კაცი სხვის ჭირს გრძნობს და იზიარებს, არ შეიძლება არ დაეხმაროს, და მისი დახმარება ყოველთვის კონკრეტულია. ათასგზის შეგვიძლია გავიმეოროთ „არავინ არ არის დავიწყებული".

ვ. კუკლევასსკი,
პოდპოლკოვნიკი.

მოსკოვი.

წერილი მოსკოვიდან

რილი — ეძებდნენ შალვას, ლეიტენანტს, რომელმაც ფრონტიდან უკანასკნელი ბარათი 1943 წლის მიწურულს გამოგზავნა და მას შემდეგ უგზო-უკვლოდ გაქრა. იქნებ ეს ერთი და იგივე კაცია, ვფიქრობდი ჩემთვის. საქმე ის გახლავთ, რომ შვილის შესახებ ცნობა არ მიუღია დედას იმ მთის სოფელში, საიდანაც შალვა ომში წავიდა, სადაც დაკრძალულია მამა, მაგრამ ცხოვრობენ დები მარგალიტა და ელენე, აქვე ცხოვრობს ძმა ალექსანდრე, ასევე ფრონტელი; ისინი ორმოცი წელია ელიან სასწაულს, რომ გაიღება კარი და სახლში შემოვა შალვა, რომ იგი აუცილებლად ცოცხალია, რადგან სოფელ შარდომეთში არავითარი ცნობა დაღუპვის შესახებ არ მიუღიათ. თუნდაც კარი ნუ გაიღება, ოღონდ რაიმე ამბავი მოვიდეს მის შესახებ. რა არ მომხდარა ომში — ზოგი დახეიბრდა და შინ დაბრუნება აღარ მოინდომა, ზოგი კი, ტყვეობაში გაწამებული, დღემდე დახეტიალობს უცხო ქვეყნებში... თანაც, და-ძმანი უბრალოდ კი არ ელოდნენ შალვას, ეძებდნენ, ეძებდნენ დღენიადაგ, მაგრამ კვალსაც კი ვერ მიაგნეს.

„სად არის ჩვენი ძმის საფლავი, სად დაიმარხნენ „43-ის ლეიტენანტები?" — მოითხოვდნენ ისინი პასუხს.

გული მეუბნებოდა, რომ მივაგენი სწორედ იმას, ვისაც უკვე ორმოცი წელია ეძებენ ახლობლები. ვეძებ მე, მაგრამ ასეთ საქმეში ინტუიციისა და წინათგრძნობის გარდა საჭიროა სიზუსტე, თვით პედანტობაც. ეს ერთი იმ ოქვიათი შემთხვევათაგანია, როცა დოკუმენტი სამწუხარო აუცილებლობა კი არა, ძვირფასი რამაა.

ბედად, არქივის საქმეთა ამონაწერები გულისყურით იყო შესრულებული და ამიტომ „ანბანური დავთრის" საჭირო სტრიქონი ჩემთან ასე გამოიყურებოდა: „98. უმცრ. ლეიტ. მენივილდშვილი (?) შალვა მეთ. ტ. 29 (?). 12. 43 ხატინოვკა (?)". იქნებ ასეთი გულმოდგინება ნამდვილ არქივარიუსს ზედმეტად მოეჩვენოს, მაგრამ ისიც კი, რაც ამ კარგ გერმანულ ქაღალდზე იყო დაწერილი და თვით ჩანაწერის თანამიმდევრობა ბევრ რამეს მეუბნებოდა, მაგალითად, ომის შესახებ, რომ ჩანაწერები უკვე ომის შემდეგ გაუკეთებიათ ბრიგადის მწერალს. კითხვითი ნიშნები კი მიუთითებდა, რომ ექვი ეპარებოდა გაკეთებული ჩანაწერისა თუ მისი წაკითხვის სისწორეში.

ერთი თვის მოლოდინი... თვე დაეუთმეთ შეჯერებას და დაზუსტებას. კვლავ კადრების მთავარი სამმართველო დაგეიხმარა.

სასწავლებელში და ფრონტზე მას ვალოდიად იცნობდნენ. ტანკისტის ემბლემიანი ოფიცრის სამხრეულები ორმოცდასამის სეკტემბერში მიიღო, დეკემბრის ბრძოლა მისთვის პირველი იყო. ვალოდიას მაშინ ოცდაორი წელი შესრულებია. მანამდე კი სოფელ შარდომეთში უცხოვრია, რომელსაც მხოლოდ კილომეტრიან სამხედრო ტოპოგრაფიულ რუკაზე თუ მიაგნებ, რიონის სათავეებში, მამისონის უღელტეხილთან. გლეხის ოჯახიდან იყო. შალვა ონის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ მუშათა ფაკულტეტზე გაგზავნეს. დისათვის ნაჩუქარ ფოტოსურათზე წაუწერია: „ნუ დამივიწყებ". არავინ იცის, რა კაცი დადგებოდა მისგან. ფრონტზე უმცროსი ძმა ტანკისტი იყო. უკანასკნელი წერილიდან: „თუ ამ ომიდან ცოცხალი დავბრუნდი, ნახევარ კილო შარდომეთულ და ნახევარ კილო თბილისურ მიწას შევჭამ". გმირულად დაიღუპა უკრაინისათვის ბრძოლაში.

ახლა შეგვიძლია კიდევ ერთი შესწორება შევიტანოთ 23 დეკემბერს დაღუპულ მეთაურთა სიაში. ლუკიანოვის გვარის შემდეგ უნდა იკითხებოდეს: **ტანკის მეთაური, უმცროსი ლეიტენანტი შალვა ლაზარეს ძე მეფშვილდიშვილი.**

და-ძმებს ახლა შეუძლიათ ჩავიდნენ იქ, სადაც დაიღუპა და დაკრძალულია მათი შალვა.

მთელი ეს ამბავი შეიძლება არც მომხდარიყო, ერთი ქალი — ციალა ნოზაძე რომ არა. სწორედ მასთან გვქონდა მიმოწერა, მასთან ვამოწმებდით და ვაზუსტებდით თარიღებს, ქართული სახელებისა და დასახელებული პუნქტების დაწერილობას. ამრიგად, კადრების მთავარი სამმართველოს შარდომეტიე გადაიქცა შარდომეთად, ანისის რაიონი — ონის რაიონად, გვარი კი რუსული ტრანსკრიფციით ახლა ისევე იწერება, როგორც ქართულად.

მხოლოდ უკანასკნელ წერილში, როცა მიპასუხა ერთ-ერთ ჩემ შემაცბუნებელ კითხვაზე, ციალა მწერდა: „გაზეთი მე წავიკითხე, და მის შესახებ მხოლოდ ახლა ვუამბე, როცა ყველაფერი საბოლოოდ ნათელი გახდა". თურმე მთელი ამ დროის მანძილზე მიმოწერა მქონია არა დაღუპული კაცის ნათესავთან, არამედ შალვას ერთ-ერთი დის მეზობელთან...

„თუ კაცი სხვის ჭირს გრძნობს და იზიარებს, არ შეიძლება არ დაეხმაროს, და მისი დახმარება ყოველთვის კონკრეტულია. ათასგზის შეგვიძლია გავიმეოროთ „არავინ არ არის დავიწყებული".

ვ. კუკლევასსკი,
პოდპოლკოვნიკი.

მოსკოვი.

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲗᲔᲑᲨᲘ

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ამას წინათ გაიმართა სიმფონიური მუსიკის საღამო. კი არ იყო რეგიონი კონცერტი, რომლის მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ მუსიკის შესრულების მხატვრულ-ესთეტიკური ღირსებებით შემოიფარგლება, და აი, რატომ: დედაქალაქს ვრცელი ორგანყოფილებიანი პროგრამით მეორედ ესტუმრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. მუსიკოსთა კოლექტივს წინამძღოლობდა ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ტარიელ დუგლაძე.

ამ შემოქმედებითი ანსამბლის ბიოგრაფია დღეისთვის არც ვრცელია და არც ფაქტებით მდიდარი. იგი დაარსებიდან ექვსიოდ წელს ითვლის მხოლოდ. ამ დირიჟორთან კონტაქტის ვადა კი უფრო ხანმოკლეც არის. ამის გამო, ბუნებრივია, მუსიკოსთა წინაშე მრავალგვარი საშემსრულებლო თუ წმინდა საორგანიზაციო პრობლემა დგას, რომელთა გადაწყვეტა მომავლის საქმეა. ამ საღამომ ეს პრობლემები თვალნათლივ წარმოაჩინა. ამის გამო მიზანშეწონილია ერთიმეორისგან განვასხვაოთ ორკესტრანტთა მიღწევები და ნაკლოვანებები, ის, რაც ღირებულია და ის, რაც ჯერაც ბეჭითი შრომით მოითხოვს დახვეწას, სრულყოფას, რაც ფიქრით, გარჯით არის მოსაპოვებელი, და ისიც, რაც ზემდგომი დაწესებულებების თუ გამოცდილი კოლეგების თანადგომით მიიღწევა.

რა შეიძლება ითქვას იმ წმინდა საშემსრულებლო საკითხების თაობაზე, რომლებიც ამ კონცერტზე გამოვლინდა. როგორი იყო საკუთრივ საშემსრულებლო დონე ამ შემოქმედებითი დათვალიერებისა?

უპირველეს ყოვლისა, ეს კონცერტის პროგრამამ დაგვანახვა დირიჟორისა და მუსიკოსთა დიდი ერთობლიობის შემოქმედებითი პოზიცია. ისინი ეს-წრაფვიან სიმფონიური ლიტერატურის ვრცელი ასპარეზის დაუფლებას. ამ კონცერტში არ შემოფარგლულან ერთი სტილით ან ხეობა „ფანტასტიკურ სიმფონიას" თუნდაც ერთი კომპოზიტორის მემკვიდრეობით. გამოჩენილი საბჭოელი კომპოზიტორების რ. შჩედრინის „მხიარული შაირები" და ჩვენი თანამემამულის ო. თაქთაქიშვილის რიგით მეოთხე საფორტეპიანო კონცერტი, უდიდესი ფრანგი სიმფონისტის ჰ. ბერლიოზის „ფანტასტიკური სიმფონია" უკვე იმგვარი პროგრამაა, რომელიც თავისი თუნდაც შემადგენლობით ძალზე მრავალგვაროვან სირთულეთა პირისპირ აყენებს მუსიკოსებს და ამ სირთულეთა გადალახვაშიც მაღალ პროფესიულ დონეს მოითხოვს. ესე იგი საკუთრივ ნაწარმოებთა არჩევანი მუსიკოსთა გაბედულებაზე მეტყველებს.

გონივრული იყო, რომ აფიშაში გამოცხადებულ ნაწარმოებთა თანამიმდევრობა დირიჟორმა კონცერტის მსვლელობისას შეცვალა და ამით პროგრამის არქიტექტონიკას ლოგიკური სიმწყობრე შემატა. კონცერტის დრამატურგია მხიარული, ანცი ოხუნჯობიდან ღირიკულ-ფსიქოლოგიური განცდის გავლით მძლავრ დრამატულ კულმინაციამდე განვითარდა.

პროგრამის სამივე ნაწარმოებში ორკესტრის შემოქმედებითი და საშემსრულებლო ტექნიკური პოტენციალი სხვადასხვა კუთხით დავინახეთ, განსხვავებული რაკურსით წარმოდგა თვით დირიჟორიც. შჩედრინისეულ მახვილგონივრულ, ლაღი იუმორით გაჟღენთილ პიესაში მუსიკოსებს ევალებოდათ მცირე მოცულობის ნაწარმოებში მიეღწიათ სიმწყობრისთვის, ტემბრულსა თუ სონორულ უხვ ეფექტებში წონასწორობა დაეცვათ, ეს ქმნილება ხომ სწორედ ამ ნიშან-თვისებებით არის მდიდარი. ო. თაქთაქიშვილის თხზულებაში მათი ამოცანა იყო სოლისტთან თანხმიერი ანსამბლის შექმნა. რაც შეეხება „ფანტასტიკურ სიმფონიას" აქ მასშტაბურ მთელში უწყვეტი სუნთქვის, გამჭოლი განვითარების პარალელურად ყოველ ცალკეულ ნაწილში სხვადასხვაგვარი დრამატურგიული, საანსამბლო თუ ტექნიკური სირთულეები იყო დასაძლევი. „შაირებიც" და „ფანტასტიკურიც" ურთულესი, „ვერაგი" ნაწარმოებებია როგორც ინტერპრეტატორული კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად, ისე ემოციური დატვირთვისა და საშემსრულებლო ტექნიკური პრობლემების თვალსაზრისით. თაქთაქიშვილის კონცერტში ფორტეპიანისა და ორკესტრისათვის, ბუნებრივია, პიანისტს მეტი ევალება. საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა ნინო კერესელიძემ გარეგნული კდემამოსილების მიუხედავად დიდი შინაგანი ძალა, მტკიცე ტექნიკური აღჭურვილობა გამოავლინა, ოთხნაწილიანი ციკლის ყოველი ნაწილი თანაბარ საშემსრულებლო დონეზე წარმოაჩინა.

უდავოა, შესრულებას მთლიანობაში მაინც აკლდა სრულყოფილება. ყოველ ნაწარმოებში მუსიკის განვითარება მეტ ლოგიკურ დამაჯერებლობას მოითხოვდა, რათა ფორმას არ დაეკარგა ავტორის მიერ ოსტატურად ჩამოძერწილი სიმწყობრე, ნაწარმოების მხატვრულ არსში წვდომას არ დაეჩრდილა მისი კონსტრუქციული მხარე. ამასთანავე არ კმაროდა შესრულების ტექნიკური სრულყოფაზე ზრუნვა, საჭირო იყო ნიუანსთა სიფაქიზეზე ფიქრი. დირიჟორისთვის შეიძლება გვესაყვედურა აგრეთვე ჩქარი ტემპით და ფორტისიმოს ნიუანსით გატაცება. დაძაბულობის ტალღის მძლავრი ჟღერადობით დაწყება ართულებდა დინამიკის რეგულაციას, რის გამოც კულმინაციური მწვერვალების სიკაშკაშე საერთო სიმძლავრეში განზავდა. შუქ-ჩრდილებს მეტი დაეთმო ბეჭედი, ოთხნაწილიანი ციკლის ყოველი ნაწილი ერთ-ერთ ფერადოვნებას ეფუძნებოდა. ეს ფერადოვნებანი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ერთმანეთს ავსებდნენ, ერთმანეთს ეფარებოდნენ, ერთმანეთს ეფინებოდნენ. ეს ფერადოვნებანი ერთ ფერად ერწყმოდნენ, ერთ ფერად ერეოდნენ, ერთ ფერად ერეოდნენ. ეს ფერადოვნებანი